# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

15 აგვისტო
ხუთშაბათი
2024 წელი
№33 (9347)
ფასი 40 თეთრი


## სამთავრობო კომისია მუშაობას იწყებს



**ბაკურიანში ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ხელშესაწყობად პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით სამთავრობო კომისია იმუშავებს.**

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, „ბაკურიანი 2025-ის“ ჩატარების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** უხელმძღვანელებს. ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის პრესცენტრი ავრცელებს.

მთავრობის განკარგულებით, კომისია უზრუნველყოფს ფესტივალის ორგანიზებაში ჩართული უწყებების და ორგანიზაციების კოორდინაციას და ფესტივალთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას.

კომისიის შემადგენლობაში არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი **ლევან დავითაშვილი**, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ვიცე-პრემიერი **თეა წულუკიანი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი**, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ირაკლი ქარსელაძე**, შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**, ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი **ლევან ჟორჟოლიანი** და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი **ანზორ ჩუბინიძე**.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვათ თბილისის მერს, **კახა კალაძეს**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს **თორნიკე რიჟვაძეს**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს **ოთარ არბოლიშვილს**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს **ლერი ხაბელოვს**, 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს **მამუკა ხაზარელს**, შპს „ემ თი ეის“ დირექტორს **ირაკლი ბურჭულაძეს** და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარეს **ეკატერინე ორჯონიკიძეს**.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, მიწვეულ იქნენ სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის სამდივნოს ფუნქციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია შეასრულებს.

## პატივი მიაგეს აგვისტოს ომის გმირებს!



2008 წლის აგვისტოს ომიდან 16 წლისთავთან დაკავშირებით, ბორჯომის მერმა ოთარ არბოლიშვილმა, მერის მოადგილემ გიორგი ტაბატაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ზაალიშვილმა ახალდაბაში აგვისტოს ომში დაღუპული გმირების დევი ჩადუნელისა და შალვა გაბუნიას სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას.

დევი ჩადუნელი წარმოშობით ახალდაბელი იყო, შალვა გაბუნია კი ახალდაბას ხშირად სტუმრობდა. მათი სულების უკვდავსაყოფად ახალდაბაში მემორიალი აღიმართა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველწლიურად სტუმრობენ.

ღონისძიებას აგვისტოს ომში დაღუპული ბორჯომელი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები და მეგობრები დაესწრნენ.

აგვისტოს ომში სამცხე-ჯავახეთიდან ექვსი ჯარისკაცია გარდაცვლილი.

### სარედაქციო ფოსტიდან

## აუზში ან წყალი ჩაასხით ან ნაგავი ამოწმინდეთ!



**დღე არ გავა, რედაქციაში რამდენიმე წერილი არ მივიღოთ. ზოგი პირადი გასაჭირის შესახებ გვწერს, ზოგს ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლე უხარია, არიან ისეთები, რომლებიც მხოლოდ ნაკლოვანებებს ამჩნევენ და მათ გამოსასწორებლად რჩევებს გვიზიარებენ...**

წერილების ავტორთა შორის არიან როგორც ადგილობრივები, ისე დასასვენებლად ჩამოსული სტუმრები.

აი, რას გვწერს თბილისელი დამსვენებელი **თინათინ გოგიბედაშვილი**: - „ძვირფასო რედაქცია, დიდი ხანია ბორჯომში, ამ საუცხოო კურორტზე არ ვყოფილვარ, ნამდვილად მიხარია, რომ ბევრი რამ გაკეთებულია, თუნდაც კოსტავას მოედანი და ბაღი, ისტორიული კავალერიის შენობა, დიდი სამუშაოები მიმდინარეობს მინწყლების პარკში და სხვა. მაგრამ გული ნამდვილად დამწყვიტა იმ ხარვეზებმა, რომელიც ქალაქის ცენტრში აღმოვაჩინე, ტურისტული სეზონი მთავრდება და მუსიკალური სკოლის წინ არსებული პატარა დეკორატიული აუზი ნაგვის ბუდედაა გადაქცეული. რატომ გაუჭირდა, ვისაც ეხება ამ პატარა აუზში წყლის ჩასხმა ან იმ ნაგვის იქიდან ამოწმენდა?! ხომ გახსოვთ ანდაზა: - ,,ერთი კასრი თაფლი ერთმა წვეთმა კუპრმა რომ დააბინძურა“, ამ აუზიდან 50 მეტრში ცენტრალური გზის პირას, ,,თიბისი“ ბანკის ბოლოში წყლის მოზრდილი გუბეა, რომელსაც როგორც ჩანს, გასასვლელი არ აქვს, მოქალაქეებმა ან გუბეში უნდა გატოპონ, ან შემოუარონ, ლიბერთი ბანკიდან ყოფილ „თიბისი“ ბანკის შენობამდე ტროტუარზე დაგებული ფილები თითქმის ყველა მორყეულია და წვიმის დროს თუ მოგიხდათ ამ მონაკვეთზე სიარული, გასარეცხი მიხვალთ სახლში.

ბორჯომი საქართველოს სავიზიტო ბარათია და ასეთი წვრილმანების აღმოფხვრა სათანადო სამსახურისათვის ძნელი არ უნდა იყოს“.

რედაქცია იმედს იტოვებს, ვისაც ევალება ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, დროულად იზრუნებს მისი გამოსწორებისათვის.

**თინათინ გოგიბედაშვილი**

## ტერიტორიის რეაბილიტაცია დასრულდა



**მესხეთის ქუჩაზე არსებული ავტობაზის ტერიტორიაზე მდებარე შენობისა და ტერიტორიის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის თანახმად, განხორციელდა ძველი ამორტიზებული შენობების დემონტაჟი, ადმინისტრაციული შენობის სრული რეაბილიტაცია და ავტობუსის სადგომები მოეწყო მეტალის კონსტრუქციით. ასევე, ტერიტორიაზე განთავსდა ავტობუსების სამრეცხაო და სახელოსნო. ამასთან მოეწყო ფერდის დამჭერი საყრდენი კედელი, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა და მოწესრიგდა კანალიზაციის ქსელი.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.**

## ქართული გენის ბრწყინვალე გამარჯვება!




**დამთავრდა პარიზის ოლიმპიური თამაშები უშეღავათო სპორტულ პაექრობაში. საქართველოდან წარგზავნილებმა შვიდი მედალი მოიპოვეს. შესანიშნავმა ქართველმა სპორტსმენებმა თავიანთი თავგანწირული, უშეღავათო ბრძოლით შვიდი ჯილდო შემატეს საქართველოს. ძიუდოისტმა ლაშა ბექაურმა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ გენო პეტრიაშვილმა და ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ - ოქროს მედლები, ხოლო ტატო გრიგალაშვილმა, ილია სულამანიძემ და გივი მაჭარაშვილმა ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი. მოკრივე ლაშა გურული ამჯერად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.**

**სახელოვანმა სპორტსმენებმა მსოფლიოს სახელმოხვეჭილ ათლეტებს ტოლი არ დაუდეს და კიდევ ერთხელ ასახელეს მშობლიური სამშობლო.**

**შესანიშნავმა შვიდეულმა ქართველ ხალხს და ერთგულ გულშემატკივრებს დიდგორობა მოგვილოცეს.**

**ოლიმპიური ჩემპიონები წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენებით დაჯილდოვდნენ, ხოლო პრიზიორებს ღირსების ორდენები გადაეცათ.**

**ვულოცავთ ოლიმპიურ ჩემპიონებს და პრიზიორებს დიდ და სახელოვან გამარჯვებებს! დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიაში მათი ჯილდოები ნამდვილად გმირობის ტოლფასია.**

## დიდება და ვაშა – ჩემო საქართველოვ!

საქართველოს დროშა - სამჯერ აიწია,
საქართველოს ჰიმნმა - სამჯერ გაიჟღერა,
რომ ვართ საჩინო და რომ ვართ ძლიერები,
ვისაც არ ეჯერა, მანაც დაიჯერა.
არცერთ დიდ ქვეყანას არ დავუდეთ ტოლი,
და იქ საფრანგეთშიც ვთქვით ჩვენ ჩვენი სიტყვა,
ბევრი ფალავანი ტატამს გავაკარით,
თუმცა ძალზე ცოტა - სულ 28 ვიყავით.
ტაშს გვიკრავდა ყველა, უცხოც და ქართველიც,
მთელი ქვეყანა კი, გვერდში ედგა გმირებს,
ბედნიერი იყო ეს პატარა ერი,
და იკრავდა გულში საამაყო შვილებს.
სამჯერ აიწია ჩვენი დროშა მაღლა,
და სამჯერ გაისმა საქართველოს ჰიმნი,
თვითონ ღვთისმშობელმა მოგვცა დიდი ძალა,
ყველა ქართველი, ხომ, არის უფლის შვილი.
თვითონ საქართველოც, ხომ, უფლის წილხვედრია,
და ამიტომ მუდამ მისი კალთა გვფარავს,
დიდი გამარჯვება, ხომ, ლომთა ხვედრია,
თუმც ეს გამარჯვება ჩვენს მტრებს ტანში ზარავს.
კიდევ ბევრჯერ დავწერთ ახალ ისტორიებს,
და გამარჯვებები ბევრჯერ გაგვახარებს,
და ქართველი დედაც კვლავ გააჩენს შვილებს,
ლაშასი და გენოს და ილიას მსგავსებს.
ალგეთს იყეფებენ კვლავ ლეკვები მგლისა,
და არ დაისვამენ ღორის ტილებს თავზე,
აღარ დაუშვებენ ქართულ დროშას ძირსა,
და წინ ვივლით ერთად გამარჯვების გზაზე.
დიდება და ვაშა - ჩემო საქართველო,
დიდება და ვაშა - ვინც შენ გვერდით გიდგას,
ვისთვისაც ეს მიწა და ეს მთა და მდელო
იყო და იქნება საფიცარი წმინდა.
წინ მომავლის გზაზე გამაჯვებით გევლოს,
ღმერთი დაგიფარავს ამ ეკლიან გზაზე,
ჩვენი სიცოცხლე კი - შენ ერთს შემოგევლოს,
და იბრწყინე მარად ვარსკვლავივით ცაზე.
დიდება და ვაშა - იმ სამ ოლიმპიელს,
ვინც იქ ააჟღერა სამჯერ ჩვენი ჰიმნი,
ვინაც ბრინჯაოს და სამ ვერცხლის მედალს
სამიც დაუმატა - უმაღლესი სინჯის.

**ჯემალ ბიბილური.**
11/VIII 2024 წელი.

## იქ, სადაც ქალაქის პულსი მეტად იგრძნობა

# ბორჯომის არაორგანიზებულ ბაზარს „სირცხვილის ცეცხლი“ უკიდია

**რამდენჯერ მსმენია ქალაქის მაცხოვრებლებისაგან, ნეტავ ბორჯომს ერთი წესიერი ბაზარი ელირსებოდეს და სოფლის მეურნეობის პროდუქტები პირდაპირ მიწაზე დაწყობილ-დალაგებული აღარ დაგვანახაო.**

საბედნიეროდ, წლებია ბორჯომს ქალაქისაგან ორი კილომეტრის მოშორებით, ჩარხისწყალზე საკმაოდ მოზრდილი და ყოველმხრივ საჭირო პირობებით აღჭურვილი ბაზარი აქვს, თუმცა რად გვინდა? იმ ბაზარში ბორჯომელთა 10%-იც კი არ დადის საჭირო პროდუქტების შესაძენად. რამდენი ჩხუბის, წივილ-კივილის, მოთქმა-გოდების მომსწრე ყოფილა ჩვენი მოსახლეობა, როდესაც ნებით არ დათმეს გარე მოვაჭრეებმა ე.წ. „კუთვნილი“ ტერიტორიები, სადაც წლებია დგანან და საკუთარ პროდუქციას ყიდიან და იმდენი იბრძოლეს, რომ მაინც ძველ ადგილზე დარჩნენ და დღესაც იქვე ვაჭრობენ. მთავარი მიზეზი გარემოვაჭრეების თქმით, თუ რატომ არ გადადიან ჩარხისწყალზე, აგრარული ბაზრის სიშორეა, რადგანაც იქ მოსახლეობა ვერ მიდის და შესაბამისად, მათ იქ ყოფნას არანაირი აზრი არ აქვს. გარემოვაჭრეებში ბევრი ჩემი ნაცნობიცაა და სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ამოიკითხავენ ამ ყოველივეს შესახებ, თუმცა მომიტევეთ, მაგრამ უთქმელობაც აღარ შეიძლება. ქალაქის ცენტრში არსებულ ღია ბაზარში, სადაც ქალაქის პულსი ყველაზე მეტად იგრძნობა, ჩვენი მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ყოველდღიურად სწორედ ამ ადგილზე გადაადგილდება, რომელიც აქვე, ქალაქის ცენტრში მტკვრის სანაპიროზე ლამის მიწაზე დალაგებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს სიამოვნებით ყიდულობს, ბორჯომის ან უმეტესად ახალციხიდან, ხაშურიდან, გორიდან, ახალქალაქიდან ჩამოსული მოვაჭრეებისაგან, უფრო ხშირად გადამყიდველებისაგან, რომლებიც პროდუქტებს ორმაგ ფასად ყიდიან. რომ შეიცხადოთ და ხმამაღლა გამოხატოთ პროტესტი, რა ძვირია ესა თუ ის პროდუქტი, გამყიდველი მაშინვე იმას გიპასუხებს, მეც ძვირის გადახდამ მომიწია და რაღაც ხომ უნდა დამრჩესო? ამ ყველაფერს კი ისე დალაგებულად და დარწმუნებით გეტყვიან, რომ შეპასუხებასაც ველარ ბედავ და იძულებული ხარ პროდუქტში ორმაგი ფასი გადაიხადო. რამდენიმე დღის წინ ჭყინტი სიმინდის საყიდლად მისულმა ერთ დახლთან ფასი ვიკითხე, გამყიდველმა 1 ლარი ღირს ერთი ტარო სიმინდიო, ორი ნაბიჯი გავიარე და ტარო სიმინდის ფასი 80 თეთრი დამიფასეს. მოდი და ურჩიე ახლა საქმე გამყიდველს, რომ რატომ ღირს მისი სიმინდი 1 ლარი და გვერდით მჯდომის 80 თეთრი? მაშინვე გაზუთხულ ტექსტს მოგახლის პირში - „მეც ძვირი გადავიხადე“, არ გინდა? წადი და სხვასთან იყიდეო. ახლა, სხვა კუთხითაც შევხედოთ არსებულ საკითხს, ერთია ის რომ, ხილი, ბოსტნეული და სოფლის პროდუქტები საკმაოდ ძვირი ღირს და მეორეა ის, რომ ყველანაირი ჰიგიენის დაცვისა და სანიტარული შემოწმების გარეშე პირდაპირ მიწაზეა დაწყობილი. იქვე მდგარი ტაქსის და ავტობუსების გამონაბოლქვი ზედ პროდუქტებზე დადის და მერე რაღატომ გვიკვირს, რატომ იწამლება ამდენი ადამიანი? რატომ არის მომატებული ალერგიული ფონი? რატომ არის ამდენი ჯანმრთელობის პრობლემები? ისიც კი საეჭვოა, რამდენ ხანში ერთხელ მოწმდება საერთოდ გასაყიდად, ე.წ. „ვითომ დახლებზე“ დალაგებული პროდუქტის ხარისხი, მისი შემადგენლობა და ა.შ. განსაკუთრებული სიფრთხილე მმართებს მოსახლეობას, რადგანაც ერთია მსხვილფეხა რქოსანისათვის არსებული დაავადებების პრევენცია და მკაცრი კონტროლი და მეორე იმ საჭირო და აუცილებელი პირობების ცოდნა, ნორმების დაცვა და კარგად შესწავლა, სადაც ეს პროდუქტები მზადდება და საბოლოოდ მოსახლეობამდე მიდის.



და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს აგრარული ბაზარი აქვს, სადაც გასაყიდად გამოტანილი პროდუქციის ხარისხი მკაცრად კონტროლდება, თუმცა მოსახლეობა იმის გამო, რომ ყველაფერს დროის დეფიციტს აბრალებს, ეზარება ნახევარი საათი დაკარგოს და ჩარხისწყალზე მდებარე აგრარულ ბაზარში შეიძინოს სოფლის და არამარტო სოფლის პროდუქტები. დიახ, ეზარებათ 20 თეთრის ღირებულების ტრანსპორტს გაყვნენ ქალაქის ცენტრიდან და აგრარულ ბაზარში შეიძინონ პროდუქტები. მე, პირადად, აგრარული ბაზრის შენობაშივე არსებული საკმაოდ დიდი ფართობის მქონე სუპერმარკეტ „ნიკალაში“, სადაც ქალაქის ცენტრთან არსებული პროდუქციის ფასებთან შედარებით საგრძნობლად მცირეა და ხშირად ვყიდულობ პროდუქტებს. იქ, ხშირად მინახავს ბევრი ბორჯომელი და ჩამოსული სტუმარი, რომლებიც პროდუქტებს ყიდულობენ. ყოველივე ამის შემდეგ კი ადამიანების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დრო არ აქვთ, რომ ქალაქისაგან მოშორებით საყიდლებზე იარონ, სრული აფსურდია.

**ცნობისათვის**: ახალციხის, ხაშურის, გორის, ზესტაფონის და სხვა აგრარული ბაზრები ყველგან ქალაქის ცენტრს დიდი მანძილებითაა დაშორებული და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დიახ, ბატონებო, ვიცით, რომ ყველას არ ყავს ოჯახში პირადი ტრანსპორტი, თუმცა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა იმდენად მიზერული თანხა ჯდება, რომ ყველას აქვს იმის შესაძლებლობა, თავის ჯიბესაც გაუფრთხილდეს და საკუთარ ჯანმრთელობასაც, რადგანაც ყველანაირი ჰიგიენური ნორმების დაცვისაგან შორს მყოფი პროდუქციის ყიდვით ეჭვქვეშ ვაყენებთ საკუთარ ჯანმრთელობას. დიახ, ყველას დაფიქრება გვმართებს, გამყიდველსაც და მყიდველსაც. მნიშვნელოვანია, რას ვყიდით და რას ვყიდულობთ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ორგანოების კეთილსინდისიერ მუშაობას, ვისაც ევალება გასაყიდად გამოტანილი პროდუქციის ხარისხის შემოწმება, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ხშირ შემთხვევაში მყიდველი გამყიდველს ენდობა და შემდეგ სწორედ ისევ მყიდველი რჩება დაზარალებული.

და ბოლოს, ხშირად გვსმენია ბორჯომელთა გულისწყრომა ამ არაორგანიზებული „ბაზრის“ თაობაზე, ზოგი „ბორჯომელთა სირცხვილად“ თვლის, ზოგი ქალაქის ხელმძღვანელობის „უპრინციპობას“ აბრალებს, ამ მართლაც შეუფერებელი ბაზრის არსებობას, რომელსაც არც წყალი აქვს უბრალოდ ხილის გასარეცხად და ხელის დასაბანად, არც ტუალეტი, ხოლო ნაგვის კონტეინერები, რომლებიც მოვაჭრეთა უკანა ფასადზეა მიდგმული, იქამდე მისვლა ყველას უჭირს და ნაგავს პირდაპირ მტკვარში ყრიან. გასაოცარია ისიც, რომ მოვაჭრეები ე.წ. „ბაზრის“ გადასახადსაც კი არ იხდიან. ამ სტიქიურ ბაზარზე არაერთი წერილი დაიწერა, თუმცა, ბევრს რედაქციის ჟურნალისტების პრინციპულობა და ობიექტურობა მოეწონა, ნაწყენი დარჩა რამდენიმე ბორჯომელი მოვაჭრე, თორემ ხაშურელ, ახალციხელ, ადიგენელ, ასპინძელ მოვაჭრეებს არც ადარდებს, რას დაწერს ბორჯომის „უპატრონო“ ბაზრის შესახებ ჟურნალისტი.

**P.S. აბა, გაბედოს ახალციხეში ვინმემ ქუჩაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა, სპეციალური სამსახური გასაყიდ პროდუქტს სანაგვე ურნაში ჩაუყრის. მიკვირს, ბორჯომში რატომაა ასე თავისუფლად გარევაჭრობა?! აღარაფერს ვამბობ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში არსებულ მოვაჭრეების შესახებ, რომლებსაც გასაყიდი პროდუქტები პირდაპირ ასფალტზე უწყვიათ, რომელსაც ირონიული ღიმილით უღებენ სურათებს ბორჯომში ჩამოსული ტურისტები. იქნებ ამ კითხვაზე მაინც გაგვცეს პასუხი იმ სამსახურმა, ვისაც ქალაქში გარევაჭრობაზე კონტროლი ევალება.**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# ორი დღით დაბრუნებული 90-იანები წლები

**მოსახლეობისადმი** სისტემურად დაგზავნილი შეტყობინებები საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ ოჯახებს წყალი ორი დღის განმავლობაში მარაგის სახით ჰქონოდა. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ბორჯომელთა ნაწილმა, როდესაც ონკანებში წყალი აღარ მოდიოდა, მას შემდეგ მიიღო შეტყობინება, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში წყალსადენის მაგისტრალის სათავე-ნაგებობაზე გაწმენდითი სამუშაოების გამო წყალი ბორჯომის მოსახლეობას შეუწყდებოდა და დღის ბოლომდე არ ექნებოდა. დღის ბოლოსაც წყალი ონკანებიდან ისევ არ მოდიოდა. საზოგადოებამ 90-იანი წლები გაიხსენა. ზოგი მცირე დებეტის წყაროებისკენ მიმავალ გზას დაადგა, ზოგი სუპერმარკეტში 5, 10 ლიტრიან ჭურჭელში ჩასხმულ წყლებს ყიდულობდა. ნაწილი კი თავის უიმედო მდგომარეობას გვიზიარებდა. ელექტროენერგიისა და ინტერნეტ კომუნიკაციის არსებობამ ბოლომდე ვერ დაგვაბრუნა იმ ბნელ ოთხმოცდაათიან წლებში. (წერისას, უცბად გამახსენდა, რამდენი ხანია ნაყიდი სანთელი არ ჩამოღვრილა უშუქობის გამო). დარწმუნებული ვარ, რთული იქნებოდა, მითუმეტეს აგვისტოში, მათთვის, ვისაც დამსვენებლები ჰყავდათ და რესტორნებს ამუშავებენ, ორი დღით უწყლოობა დაძლიეს, მაგრამ მაინც გამოსავალი წყაროს წყლებთან და მაღაზიებში წყლის მარაგი მარტივად იპოვეს.

ბორჯომელთა რამოდენიმე შეტყობინებას კი ჩვენს მკითხველსაც გავუზიარებ ქალაქში უწყლო დღეების განმავლობაში რომ იწერებოდა:

**- რა ვქნათ? ლორიებში წავიდეთ ვედროებით წყლის წამოსაღებად, მოსაზიდად, როგორც 90-იანებში, თუ როგორ მოვიქცეთ?!**

**- ეს რა გამახსენე, რაც მე მანდედან წყლები მაქვს ნაზიდი. მიუხედავად ყველაფრისა, რა კარგი დრო იყო. მენატრებით ფალიაშვილელები. შორს ვარ, მაგრამ ლოცვებს გავაძლიერებ, იქნებ გეშველოთ და ლორიები აღარ დაგჭირდეთ.**



**- ის ბინძური წყალიც კი აღარ გვაქვს, რომ პირში ჩავიგუბოთ, გავჩუმდეთ და ხმა აღარ ამოვიღოთ...**

**საერთოდ, რაზე გვაქვს პრეტენზია XXI საუკუნეში, როცა სუფთა წყლის პრობლემა კი არა, ბინძური წყალიც კი აღარ გვაქვს. სირცხვილია მართლა, რითი ველარ მოწესრიგდა გაერთიანებული წყალმომარაგების სამსახური. ერთხელ და სამუდამოდ გადაჭერით ეს უწყლოობის და სუფთა წყლის პრობლემა. აფრიკა რომ აფრიკაა, იქ მოწესრიგდა წყლის პრობლემა. აღარ გვინდა ყოველ წელს დაგებული უხარისხო ასფალტი, წყლის პრობლემა მოვაწესრიგოთ ჯობია!**

**ცხელ ხაზზე დავრეკე და შესაძლოა ხვალ 12 საათზეც არ იყოს წყალი, თუ ანალიზები არ იქნება კარგი.**

მეორე დღეს, საღამოს 9 საათისთვის ონკანებში წყლისა და ჰაერის ერთობლივმა ბგერებმა გვაუწყა, რომ წყალი გამოუშვეს და მალე მისით სარგებლობის შესაძლებლობაც გვექნებოდა. SMS შეტყობინებები, რამდენიმე დღით ადრეც შეეძლოთ დაეგზავნათ, რათა მინიმუმამდე დაეყვანათ არსებული დისკომფორტი მოქალაქეებში, ან საინფორმაციო საშუალებებით გაევრცელებინათ წყლის სათავე-ნაგებობაზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით ინფორმაცია, რომ უცბად მოწყვეტილ წყალს არ დაეტოვებინა შელებილი თავით ქალბატონები სალონებში და გასაპნული მოქალაქეები აბაზანებში. მეტი ყურადღებისა და პატივისცემის დამოკიდებულების გამოხატვა მოსახლეობისადმი ნამდვილად არ გვაწყენდა. იქნებ პატივი დაგვედოთ მოსახლეობისათვის და შემდეგში გაითვალისწინოთ.

**იზა იანვარაშვილი**

## ახალგაზრდობა, იმედი ხვალის!

# კარგი ამბები ელვის სისწრაფით ვრცელდება

**ბორჯომის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა ანა დარსანიამ რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში უმაღლესი 60 ქულა მოიპოვა, თითოეული ბორჯომელი დიდი სიხარულით შეხვდა. მსურს, ინტერვიუს საშუალებით ჩვენს მკითხველს ანას შესახებ მეტი ინფორმაცია მივაწოდო და ჩვენი წარმატებული გოგონა უფრო ახლოდან გავაცნო.**



**● ანა, გილოცავ ამ ბრწყინვალე შედეგს, საამაყო ამბავია. ემოციაზე მინდა მომიყვე, როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის შედეგები ნახე?**

- რასაკვირველია, ძალიან გამეხარდა. მართალია, ცუდ შედეგს არ ველოდი და გამოცდიდანაც კმაყოფილი გამოვედი, თუმცა მაქსიმალური ქულის დანახვამ სასიამოვნოდ გამაკვირვა.

**● როგორ მიაღწიე ამ შედეგს? შენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელზეც მოგვიყევი? მასწავლებლებზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ შედეგის მიღწევაში?**

- ყველაფერი სკოლის წლებიდანვე დაიწყო. სკოლაში რამდენიმე პედაგოგი გამოვიცვალეთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ყოველ მათგანს უდიდეს პატივს ვცემ, მგონია, რომ თითოეულმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემს პიროვნულსა და აკადემიურ განვითარებაში. ბოლო რამდენიმე წელი ლია გულიკაშვილი ასწავლიდა ჩვენს კლასს, მისი უზომოდ მადლიერი ვარ. სასწავლო წლის განმავლობაში ვერ მოვახერხე მომზადება, რადგან გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი. ბოლო თვენახევრის განმავლობაში მზია მეტრეველთან გავლილი გაკვეთილები და მისგან მიღებული ცოდნა ძალიან დამეხმარა.

**● გამოცდის რომელი საკითხი იყო შენთვის ყველაზე ემოციური? ან რომელ საკითხს გამოყოფდი?**

- ყველაზე ემოციური ესეს დაწერა იყო, რადგან იგი ფაქტობრივად აჯამებს წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნას, როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური კუთხით. ერთი სიტყვით, ყველაზე კომპლექსური სწორედ მოცემული დავალებაა და შესაბამისად, მეტად ემოციურიც.

**● რა თემაზე იყო ესე, რომელიც დაწერე?**

- ესე ეხებოდა უსამართლო გარემოებების გამო რთული არჩევანის წინაშე დაყენებულ ინდივიდს. ნაწარმოებ „ვა,სოფელოს“ მიხედვით.

**● მოკლედ გვითხარი ესედან შენი მთავარი სათქმელი.**

- ესეში ზოგადად მიმოვიხილე საბჭოთა სოციალისტური რეჟიმი, რომელზეც საუბარი იყო თავად ნაწარმოებში და რომელიც ხშირად აყენებდა ადამიანებს რთული არჩევანის წინაშე გამეფებული უსამართლობის გამო. ესე დავასრულე სიტყვებით „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. მართალია, ხშირად რთულია მისი მიღწევა, მაგრამ მეც ამ მოძღვრებით ვცდილობ ვიცხოვრო. რთული არჩევანის წინაშე ვარ, იმედია, მეც და სხვანიც ზნეობრივ ჭეშმარიტებას ვამჯობინებთ მატერიალურ სიკეთეს.

**● რომელ უნივერსიტეტში გეგმავ აკადემიური განათლების მიღებას და რა სპეციალობაზე?**

- მსურს, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე გავაგრძელო სწავლა.

**● რატომ გადაწყვიტე და თვლი, რომ შერჩეულ სპეციალობაზე უნდა ისწავლო?**

- ბავშვობიდან მიზიდავს ხატვა, რამდენიმე წელია დავინტერესდი მათემატიკითაც, ვფიქრობ, მოცემული ფაკულტეტი ზემოთ ხსენებული სპეციალობის საუკეთესო კომბინაციაა.

**● გვითხარი შენი წარმატებების შესახებ?**

- ვსწავლობდი აშშ-ში, შტატ მინესოტაში. წასული ვიყავი ფლექსის გაცვლითი პროგრამით.

**● რა მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილებ ყურადღებას საზღვარგარეთ სწავლისას? რა სიახლეები მოგცა ამერიკაში გატარებულმა ერთმა წელმა?**

- ყველას, ვინც გეგმავს ამავე პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, ვურჩევდი მაქსიმალური გამოცდილება მიიღონ იქაური ცხოვრებით, გამოსცადონ კულტურა და ბევრი დრო გაატარონ იქაურებთან. როგორც ვახსენე, ქართული კურიკულუმისათვის დრო არ მრჩებოდა, თუმცა ჩამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე საკუთარი თავის ბოლომდე რეალიზება. ვფიქრობ, მთავარი რეალობის სწორად აღქმა და საკუთარი შესაძლებლობების სწორად გამოყენებაა.

ყველაზე მნიშვნელოვნად პიროვნულ ცვლილებებს ვთვლი. მგონია, იქიდან სხვა ადამიანი დავბრუნდი, ბევრად უფრო ჩამოყალიბებული. ასევე მომეცა საშუალება, სწორად აღმექვა ჩვენთვის უცხო სამყარო თავისი ავ-კარგიანობით და შესაბამისად, ქართული სოციუმი შემედარებინა მისთვის.

**● რომელი ქართული ნაწარმოები, ლექსია შენს სამყაროსთან ყველაზე ახლოს და რატომ?**

- ძალიან მიყვარს ვაჟას, ილიას, ზოგადად რეალისტების შემოქმედება. მეც ხშირად მეფიქრება ხოლმე ჩვენი სოციუმის მანკიერებებსა თუ სიკეთეებზე და ამიტომაც განსაკუთრებით გულთან ახლოს მიმაქვს მათი ნაწარმოებები.

**იზა იანვარაშვილი**

# ანზორ მესხიშვილი: ქართული მიწის ერთგული გუშაგი

**პიროვნებას, რომელზეც მინდა გესაუბროთ, დიდი ხანია კეჩხობში აქვს აგარაკი. წელიწადში სამ-ოთხ თვეს ჩვენს ხეობაში ატარებს, მეცნიერულ დონეზე აქვს შესწავლილი ჩვენი სამშობლოს ყველაზე დიდი სიმდიდრე, სახნავ-სათესი სავარგულები.**

**იცის ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონის განვითარების პრობლემები. არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული გაზეთ „ბორჯომში“. მტკივნეულად განიცდის ჯერ კიდევ დღემდე ჩვენ მუნიციპალიტეტში მოუგვარებელ საკითხებს. მისი სახელი და გვარი ცნობილია მთელ საქართველოში. დიახ, ბატონი ანზორ მესხიშვილი მიწის მართვის საკითხებში ერთ-ერთი აღიარებული მეცნიერია. ბატონ ანზორს სულ მალე დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდება. გვინდა წინასწარ მივულოცოთ და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ.**



**წარჩინებით** დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო-სამეურნეო და ეკონომიკური ფაკულტეტები, შემდეგ ვოლგოგრადის ეკონომიკისა და სატყეო-მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა.

მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში სპეციალისტად, თბილისის გამწვანების ტრესტში ბრიგადირად, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტში ინსტრუქტორად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში - სპეციალისტად, განყოფილების გამგედ, მთავარი სამმართველოს უფროსად, თეთრიწყაროს რაიონის ალმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროსად. პროფესიონალ კონსულტატთა ჯგუფის მთავარ მეცნიერ-კონსულტატად მიწათსარგებლობის საკითხებში, ამჟამად მუშაობს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე.

არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **„მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის“** წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკდემიის კოორდინატორი, მიწათსარგებლობის მიმართულებით ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** რედკოლეგიის წევრი, საერთაშორისო ჟურნალ **„აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიების“ რედკოლეგიის წევრი**, საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ყოველკვარტალური რეფერირებული ჟურნალის **„აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის წევრი, არის დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (ორჰუსის) კონვენციის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერნაციონალურ-გეოკონსულტაციურ ფირმა „დოქტორ ვაისი და პარტნიორის“ სერთიფიკატების მფლობელი, უძრავი ქონების თანამედროვე კადასტრისა და რეგისტრაციის საკითხებში. ეკონომიკის დოქტორი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის 14 წიგნისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენებით, მედლებით და საპატიო სიგელებით.**

ბატონი ანზორ მესხიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის აფხაზეთში, ტერასების დაპროექტება-მოწყობაში და ეროზირებული ფერდობების გატყევებაში. კოლხეთის დაჭაობებული ფართობების დაშრობა-ათვისებაში და აღმოსავლეთ საქართველოს მიწის ფართობების გასარწყავებაში, თბილისის მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გამწვანებაში. მისი ინიციატივით საქართველოში ადგილობრივი ტყეების ბაზაზე შეიქმნა სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობები და ჩატარდა ადგილობრივი ტყეების ტყეთმოწყობა.

1982 წელს მუშაობდა თეთრიწყაროს რაიონში აგროსამრეწველოს გაერთიანების თავმჯდომარედ. რაიონის სოფლის მეურნეობის დარგი ყოველწლიურად სამეურნეო წელს ამთავრებდა 60 მილიონი მანეთის ზარალით, 1986 წელი კი დაამთავრა 70 მილიონი მანეთის მოგებით და საქართველოში თეთრიწყაროს რაიონმა პირველი ადგილი დაიკავა.

**ანზორ მესხიშვილი ჩვენს ქვეყანაში აღიარებული მეცნიერია მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობის, მიწის სამართლის, მიწის კადასტრის, მიწის ბალანსის, მიწის კოდექსის, პრობლემების კვლევის სფეროში. ამ პრობლემებზე მან მრავალი საინტერესო და მეცნიერული და გამოყენებითი ღირებულების ნაშრომი გამოაქვეყნა.**

**მისი ავტორობით გამოცემულია წიგნები: „უძრავი ქონება“, „უძრავი ქონების ეკონომიკა“, „ჩემო ქართულო მიწავ“, „როდემდე ვჯიჯგნოთ ქართული მიწა“, „როცა ქართულ მიწას არ ჰყავს პატრონი“, „წინადადებები საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიისათვის“, „კურორტი ბახმარო და საქართველოს მომავალი“.** ამ წიგნებით მან თავისი გულითადი და პატრიოტული დამოკიდებულება გამოხატა ეროვნული საუნჯის - ქართული მიწის მიმართ. საზოგადოებას თვალნათლივ დაანახა და აგრძნობინა, თუ რა დიდ განსაცდელშია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, როგორ ჯიჯგნიდნენ მას და ცდილობდნენ ყიდვა-გაყიდვის დაკანონებით უცხოელებისთვის ჩაეგდოთ ხელში. ამ ბოლო წლებში მისი ანალიტიკურ-კრიტიკული ხასიათის სტატიები და ინტერვიუები სისტემატურად იბეჭდება ქართულ ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, სადაც ავტორი პროფესიული სიღრმით განიხილავს იმ უმწვავეს პრობლემებს, რასაც ადგილი აქვს ქართულ მიწასთან დაკავშირებით. ხშირია მისი გამოსვლები ტელევიზიით და გაზეთებში ქართული მიწის დაცვის ეფექტურად გამოყენების საკითხებზე. ის ხმამაღლა საუბრობს იმაზე, თუ რა საშიშროება ელოდება ქართულ მიწას - საქართველოს ეროვნულ შეუცვლელ საუნჯეს.

ბატონი ანზორ მესხიშვილი არის ადამიანი, რომელიც ათეული წელია ხმალამოღებული იბრძვის ქართული მიწის, როგორც ქართველი ერის ფასდაუდებელი სიმდიდრის გადასარჩენად. იგი ნამდვილად არის ქართული მიწის ერთგული გუშაგი და უანგარო მსახური.

**P.S. ბატონ ანზორის ყოველდღიურ ბრძოლას ქართული მიწის გადარჩენისათვის კარგად მიესადაგება ცნობილი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ქალაქში წასულო ქიტეს და ყაყუტავ, წყეულიც იქნება, ამ თხოვნას ვინც წაშლის, ღმერთი არ გაგიწყრეთ, მიწა არ გაყიდოთ, პაპა არ დამარხოთ გაყიდულ მიწაში“.**

**ვალერიან ლომიძემ**

**ბატონ ანზორ მესხიშვილს**

**გიყურებ, გლოცავ, მეამაყები,**
**ხმალშემართულო დიდო ქართველო.**
**ქართული მიწის, ჩვენი რაობის,**
**ჩვენი მომავლის დიდო დამცველო.**
**ზარებს რეკ, ამბობ: ქართულ მიწაწყალს,**
**ოთხმხრივ ითვისებს, ვისაც სურს ყველა,**
**რაც წინაპრებმა სისხლით დაიცვეს,**
**ის არ დავკარგოთ, მას უნდა შველა.**
**და მოგვიწოდებ, რომ გონს მოვეგოთ,**
**პატრონად ვიქცეთ ქართული მიწის,**
**დასრულდეს მისი ჯიჯგნა, გაყიდვა,**
**ამისთვის იბრძვი, ამისთვის ილვწვი.**
**ბატონო ანზორ, გვერდით გვიგულე,**
**ერთად დგომა და სიმტკიცე გვინდა,**
**საქართველოსთვის თავის დადება,**
**ეს ხომ ქართველის ვალია წმინდა.**

**ლორენა გელაძე.**

## აგვისტოს ომიდან 16 წელი გავიდა

# ჯარისკაცის სევდიანი მოგონება

**- მე ყოველთვის ვიძახი და ვიტყვი, რომ ჩვენ 2008 წელში წავაგეთ ომი და ბრძოლა მოვიგეთ - ასე „ამერიკის ხმასთან“** თადარიგი სერჟანტი **ვასილ მელიქიძე** აგვისტოს ომს იხსენებს. ომს, რომელიც მის სამხედრო კარიერაში პირველი იყო, თუმცა არა ერთადერთი. 2008 წელს სამშობლოს რუსეთისგან იცავდა, მოგვიანებით საქართველოს სახელით საერთაშორისო მშვიდობისთვის ავღანეთში იბრძოდა. ორი ომის ვეტერანს ვკითხეთ: **რა განსხვავებაა სამშობლოსთვის ბრძოლასა და სამშობლოს სახელით ბრძოლას შორის.**



**ვასილ მელიქიძე:**

- ავღანეთში ჩვენ ვიყავით სამშვიდობო მისიით, საქართველოს დროშის ქვეშ და წარმოვადგენდით საქართველოს და ვასრულებდით ყველანაირ მითითებას. რაც შეეხება 2008 წელს, სამშობლოსთვის ბრძოლას ეს ნიშნავს, რომ შენ დგახარ პოზიციაზე და ბრძოლობ. შენ გაქვს იმის ფიქრი, შენს უკან არის საქართველო, შენს უკან არის შენი სამშობლო და ყველაფერი ის, რაც შენ გაგაჩნია. იქ უნდა გააკეთო მაქსიმალური, რომ იმ პოზიციებს არ გადმოსცდეს მოწინააღმდეგე და არ მივიდეს საქართველომდე, ქართველებამდე, ქართველ ერამდე და ეს რთული ამოცანა ქართულმა ჯარმა 2008 წელს ღირსეულად ამოხსნა.

თადარიგის სერჟანტს 16 წლის შემდეგ ვთხოვეთ აგვისტოს ომის მოვლენები დეტალურად გაეხსენებინა.

- მე ვიმყოფებოდი მეოთხე მექანიზირებული ბრიგადის ორმოცდამესამე ქვეით მსუბუქ ბატალიონში, როდესაც გამოცხადდა მობილიზება.

თადარიგის სერჟანტი მელიქიძე ამბობს, რომ პირადი შემადგენლობა მოტივირებული იყო მთლიანად, რათა დაეცვათ ქვეყანა მტრისგან, რუსეთისგან.

- როდესაც მანქანაზე ვისხედით, ვიცოდით, რომ ომში მივდიოდით. პირად შემადგენლობას ერთი სული ჰქონდა, როდის გაჩერდებოდა მანქანა, როდის ჩამოვქვეითდებოდით და გავაგრძელებდით ფეხით მოძრაობას,ქალაქ ცხინვალისაკენ, ოკუპირებული ტერიტორიებისაკენ, რუსების წინააღმდეგ.

რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ იმ დროს უკვე დაწყებულია., მელიქიძე, ისევე როგორც სხვა ათასობით ქართველი სამხედრო, ბრძოლის ველზე იმყოფება. ვთხოვეთ, გაეხსენებინა მისთვის ყველაზე რთული დღე ომში. ორი ომის ვეტერანს ზუსტი თარიღების დასახელება უჭირს, სწორედ ამიტომ თარიღები მასალაში დასახელებული არაა.

- ჩემთვის ყველაზე დიდი სირთულე და ყველაზე მძიმე დღე იყო სოფელი ფხვენისი, სადაც მოვყევით რუსული ავიაციის დაბომბვის ქვეშ და პირადი შემადგენლობა, გარკვეული ნაწილი დაიღუპა, გვყავდა მძიმედ დაჭრილები და აი, მაშინ გავაცნობიერე, რომ ომში ვიყავი. უკვე ეს ყოველივე ჩემი თვალით რომ იყო დანახული. და მერე სხვა დღეები გასულ დღეებზე მძიმე იყო, მაგრამ უკვე გააზრებული ვხვდებოდით.

2008 წლის აგვისტოს ომში აქტიური საბრძოლო მოქმედებები რამდენიმე დღე გაგრძელდა. თადარიგის სერჟანტი გვეუბნება, რომ ამ პერიოდში ქართულმა სამხედროებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო რუსეთისაგან დაიცვეს, გამოყოფს შინდისის გმირებს და გიორგი ანწუხელიძეს, რომელიც მელიქიძის თქმით, იყო სამაგალითო სერჟანტი, გმირი ქართველი, რომელმაც საქართველოს ღირსება სიცოცხლის ბოლო წუთამდე დაიცვა.

- გიორგი ანწუხელიძე იყო მოტივირებული სერჟანტი, ჯარისკაცი თავისი ქვედანაყოფისათვის და კარგად მოგეხსენებათ რატომაც. ამის კადრებიც არსებობს, რის გამო, რისთვის დაიღუპა ანწუხელიძე, ეს არ არის არც მითი, არც ლეგენდა, რომ ანწუხელიძე ფეხით არ დადგა დროშაზე, ანწუხელიძემ დროშის სიწმინდე არ შეურაცხყო, სრულიად მსოფლიომ ნახა ეს კადრები და გიორგიმ დაამტკიცა ქართველი ვაჟკაცის ღირსება, საქართველოს სიწმინდე დაიცვა და ამით არა მარტო მსოფლიო, არამედ თვით რუსებიც გაკვირვებულები არიან. პრინციპული ადამიანი იყო, პრინციპულად უდგებოდა ბევრ საკითხს.

მელიქიძე ამბობს, რომ როცა გიორგი ანწუხელიძის შესახებ ინფორმაცია და ვიდეო კადრები გავრცელდა, ძალიან გაბრაზდა, რადგანაც ქართველი სამხედროები ტყვედ ჩავარდნილ მტრებს ომის კანონების შესაბამისად ექცეოდნენ, ისინი კი არა.

- ჩვენ, პირადი შემადგენლობა მოწინააალმდეგის პირად შემადგენლობას ვექცეოდით ისე, როგორც მოიცავს ომის კანონი. რა თქმა უნდა, პირველ რიგში განიარაღებული გვყავდა, არანაირი იარაღი არ ქონდათ, ხელებშეკრული, თუმცა, საკვები, წყალი მიგვქონდა, სიგარეტსაც კი ვაწევინებდით და ვექცეოდით, როგორც მეომარს, მებრძოლს და ბოლოს, როდესაც დამთავრდა ყველაფერი და გავიგეთ, ჩვენ ბიჭებს, ტყვედ ჩავარდნილებს როგორც ექცეოდნენ, თითოეული ჯარისკაცი ძალიან გავბრაზდით, ვფიქრობდით, ჩვენც ასე მოვქცეულიყავით ნეტავ, მაგრამ ეს ალბათ გაბრაზების მომენტი იყო. მაგრამ მგონია, რომ ჩვენ ღირსეულად დავიცავით ჯარისკაცის მუნდირი.

დღეს ვასილ მელიქიძე ოჯახთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. მიაჩნია, რომ 2008 წელმა და უკრაინაში რუსეთის ომმა აჩვენა, რომ სავალდებულო, საყოველთაო სამსახური ქვეყნისთვის აუცილებელია.

- როდესაც საქართველოში ადამიანი გახდება სრულწლოვანი, ყველანაირი პირობები უნდა შეექმნას, რომ წავიდეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომ იმ ერთ წელიწადში სამხედრო მოსამსახურემ შეისწავლოს ჯარისკაცის ცხოვრება, იარაღთან მოპყრობა, როგორც არის მაგალითად, ისრაელში. მნიშვნელობა არ აქვს, ის ქალია თუ მამაკაცი, სრულწლოვანი ხდება თუ არა, ის ვადებულია, წავიდეს ჯარში. ხედავთ, როგორც არის ამერიკაში. ყველა დეტალი არის აღწერილი, ისტორიას ბავშვებს სკოლიდან, პირველივე კლასიდანვე ასწავლიან. მე პატარა შვილი მყავს, რომელიც პირველ კლასში სწავლობს და ქონდა გამოცდები. გამოცდა შემდეგში მდგომარეობდა, - გამოატანეს რამდენიმე ფორმის ფურცელი, ოთხკუთხედი, სამკუთხედი და გულის ფორმის, დავალება იყო ასეთი, რომელ ფურცელზე მოათავსებდნენ ამერიკის დროშას აღნიშნული ფორმებიდან. ჩემმა შვილმა მოათავსა გულის ფორმაში და მან დიდი შეფასება მიიღო. ეს ბევრ რამეზეა უკვე გათვლილი. შეიძლება ვიღაცამ სამკუთხედში მოათავსოს, თუმცა გული სიყვარულთან არის დაკავშირებული, და აქედან აყვარებენ ბავშვებს დროშას, სამხედროს. მინდა, რომ ჩემი ქვეყანაც იყოს ძლიერი. იყოს ასე საქართველოში. როდესაც ქუჩაში გადავაადგილდებოდით, ტაშით გვხვდებოდა ხალხი. ამას მე დღეს ვერ ვხედავ და სამწუხაროდ, რეალობაა.

**საბა გუჯაბიძე**
**„ამერიკის ხმა“ (ვაშინგტონი)**
**(სატელევიზიო სიუჟეტიდან შემოკლებით)**

# შინდისის გმირებს!



**საქართველოს სიყვარულში შობილებს და გაზრდილებს,**
**ვუმღერ ჩვიდმეტ ქართველ ვაჟკაცს, ვინც ბრძოლაში დაეცა,**
**ვისი ხელით, მტერს და დუშმანს, კვლავ პასუხი გაეცა,**
**ვინც სამშობლოს ერთგულებდა ფიქრშიც, დღეც და ღამეცა…**
**აგვისტოა, მარიობა, თავდადების თვე არის,**
**ვაჟკაცების ოცეული დგას სამშობლოს დამცველად,**
**ვისი ძუძუც უწოვიათ, ქედს მოვუხრი მათ დედებს,**
**ვაჟკაცებად დაუზრდიათ, განა ქურდად, მძარცველად.**
**მტერი, ვითომ ქართულ დროშით შეიპარა მზაკვრულად,**
**წრეში ალყა შემოარტყეს, მოაქციეს მახეში,**
**არ შეშინდნენ ვაჟკაცები, მყის ბრძოლაში ჩაებნენ,**
**არ გაექცნენ, ჯიქურ დახვდნენ, მტერს შეხედეს სახეში.**
**როგორც ჩვენი მამა-პაპა, ერთი ათთან იბრძოდა,**
**ლომგულები, მგელმუხლები, თუმც პატარა ბიჭები,**
**რის ტყვეობა, რის ლაჩრობა, რის მუხლებზე დაცემა,**
**ბრძოლა ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი გენი, ნიჭები!**
**მტერს სასტიკი ბრძოლით დახვდნენ, ლამის მუსრი გაავლეს,**
**თუმცა, როგორც მუმლი მუხას, ესეოდნენ სვავები,**
**უთანასწორო ბრძოლაში, აბა, რას გახდებოდნენ,**
**ბოლო ტყვიამდე იბრძოლეს და გასწირეს თავები.**
**საქართველო ქვეყანაა ღვთისმშობლის და ქრისტესი,**
**თითო გოჯა მიწა-წყალი არის ჩვენი სინდისი,**
**ისტორიის ქარიშხალში წამებულთა, ვაჟკაცთა**
**და დამცველთა უწყვეტ სიას შეემატა შინდისიც.**
**დაიხოცნენ სამშობლოსთვის ჩვენი დროის გმირები,**
**თავი დასდეს ქვეყნისათვის, არ ჩაბარდნენ ტყვეებად,**
**მათი სული სულ იქროლებს საქართველოს მთა-ბარში,**
**გაზაფხულზე წვიმად მოვლენ, ყვავილებად, ტყეებად…**
**ერი, ვინც ზრდის ამგვარ შვილებს, ის არ გადაშენდება,**
**უკვდავება მათ სახელებს და დიდება მათ გვარებს,**
**გაქრობა არ უწერია ამ დალოცვილ ქვეყანას,**
**სანამ გაზრდის ასეთ კაცებს, სანამ გაზრდის მათგვარებს.**

**ოლიკო ლომიძე**

# ვულოცავთ!



4 აგვისტო, ვალერიან ლომიძის, იმ ადამიანის დღეა, ვინც ჩემი განუმეორებელი ბაბუს სიყვარული, პატივისცემა განმიახლა. ჩემდამი დამოკიდებულება ყოველთვის გამოირჩევა თბილი რჩევებით, შინაურული, გულწრფელი საუბრებით და არ ვიცი, რით დავიმსახურე, მაგრამ სულ ჩემზე დადებით კონტექსტში ლაპარაკით უდარდელად ჩაიღიმებდა ცნობილ სიტყვებთან ერთად: „ცუდას რად უნდა მტერობა“-ო და დააყოლებდა - შენ უნდა ჩაგაბარო გაზეთის რედაქციაო. მერამდენე დაბადების დღე აქვს - ეს კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის, თუ როგორ მჭექარედ ისმის მისი ხმა, სიტყვა და დღემდე ანგარიშგასაწევია მისი კრიტიკა. ერთად მუშაობის პირველ წლებში მეუბნებოდა კიდეც: ბევრს არ ვუყვარვარო, რადგან ძნელია და მეტად სპეციფიკური, წერო პატარა ქალაქის პრობლემებზე და ვინმე არ მოიმდუროო. ბეწვის ხიდზე გადიხარო - ასე მარიგებდა. წარსული დროის ფორმას იმიტომ ვიყენებ, რომ აღარ ვმუშაობ რედაქციაში და ეს მილოცვაც ერთგვარი ნოსტალგიით არის გაჟღენთილი. ვინ მოითვლის, გზაში რამდენი ადამიანი შემხვედრია და უთქვამთ: როგორ უყვარხარ რედაქტორს, შენზე ამყარებს იმედებსო. სულ წინ მხვდებოდა მისგან ნათქვამი ქებული სიტყვა და მეც ვცდილობდი, არაქედმაღლურად, არამედ მოკრძალებულად იმედები გამემართლებინა. სულ იმას გვეუბნებოდა - დაინახეთ პრობლემები, გაიხედეთ გარშემო, სტატია უნდა იყოს კრიტიკული, რომ მივცეთ გამოსწორების მოტივაციაო. პირად საუბრებში იშვიათად დაუჩივლია ცხოვრებისეულ სირთულეებზე, მაგრამ არ ეპუებოდა, ცხოვრებას „არ გაელახვინებოდა“, ბრძოლის იყო ყოველი ცისმარე დღე და დღემდე ენერგიულად მისდევს დამქანცველ რუტინას; ამით კი გვაჩვენებს ახალგაზრდებს არაერთ საიმედო მაგალითს: როგორ არ დანებდე, როგორ არ შეეპუო, როგორ ემსახურო საკუთარ საქმეს, რომელსაც ხელი ჩასჭიდე. გავთამამდები და მხოლოდ სიყვარულის გრძნობითა და გულდაწყვეტით ვიტყვი: მისი ცხოვრება ბევრად შინაარსიანი მეჩვენებოდა, როცა ძვირფასი მეორე ნახევარი, არაჩვეულებრივი, სათნო პიროვნება, ყველასათვის თბილი მასწავლებელი, ქალბატონი ლია იყო მის გვერდით. მათ სიყვარულით შეავსეს თავიანთი წლები და ერთმანეთზე ზრუნვას სხვა ხიბლი ჰქონდა. ნათელი დაადგეს მის სიკეთით სავსე სულს.

ბატონი ვალიკო ბევრი წელი უნდა იყოს ასე მედგრად, ქალაქის გულშემატკივრად, გაზეთ „ბორჯომის“ ქომაგად - ეს ხომ მისი მთავარი საფიქრალია: როგორ „ასუნთქოს“ საუკუნეს მიღწეული, როგორ მოაწყოს ისე, რომ მის შემდეგაც არ „შეწყდეს გაზეთის გულისცემა“.. ეს არის მისთვის ყველაზე სანუკვარი სურვილი აქ და ახლა! გილოცავთ, რედაქტორო! დიდი მადლობა ყველაფრისათვის!

პატივისცემით, **მონიკა ჭანტურია.**

## რედაქტორის დაბადების დღე

პიროვნების, რომლის მთავარი საფიქრალი უკვე ხუთი ათეული წელია გაზეთი „ბორჯომი“, ჩვენი ქალაქის და სამშობლოს წარმატებული მომავალია.

მის ყოველ სიტყვას შეუძლია გაგზარდოს პროფესიული და პიროვნული თვალსაზრისით.

ბორჯომელთა სიხარულისა და გულისტკივილის გამზიარებელი, საუკეთესო მრჩეველია.

სიყვარულს, სითბოს, უფლის მფარველობას, ჯანმრთელობასა და ბევრ სიხარულს გისურვებთ.

მადლობა, რომ 12 წლის წინ სწორედ თქვენი არჩევანით, მე, გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტი გავხდი და დღესაც რედაქციის თანამშრომელი ვარ.

დიდხანს გაგვეტარებინოს თქვენი სამართლიანი, ობიექტური, კრიტიკული და მრავლისმთქმელი სარედაქციო პოლიტიკა.

**იზა იანვარაშვილი**

## რეალობის დაჯერება რთულია



5 შვილის მამა **დავით კილაძე** 42 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა. რეალობის დაჯერება რთული აღმოჩნდა. გაოგნებული ისმენ ამბავს და არ გინდა დაიჯერო.

სამძიმარზე მისულს მეუღლის ეკა ბოიჩენკოს ნათქვამი სიტყვები თითქოს რომ მეუღლეს ეჩურჩულებაო, ახლაც ჩამესმის, „ვის იმედად დაგვტოვე ნეტავ“...

უფროსი შვილი, ნიკოლოზი, წელს სტუდენტი გახდება. ყველაზე უმცროსი, პატარა ნატალიკო კი მამის გარეშე მის უკანასკნელ გზაზე გაცილებამდე მონათლეს. (ამბობდა, დიდი ნათლობა უნდა გადავუხადო ჩემს გოგოსო). იმდენად ძლიერ იმოქმედა ოჯახის ამ მწუხარებამ, რომ ერთმანეთის დაფასება, თანადგომა და სიყვარული ახლა და ამ წამსაა საჭირო. დედას ნუგეშს 5 შვილი მისცემს, ერთმანეთს უფრო ძლიერ რომ ამოუდგებიან გვერდით. ეს სიძლიერე არასდროს აკლდათ. მათთან შეხვედრა არასდროს დაგტოვებდა გულგრილს. როგორ სწრაფად გადმოხტებოდნენ მანქანიდან ბიძასთან, ბებიასა და ბაბუასთან შესახვედრად. მაშინვე გადაყრიდნენ მნახველს ნებისმიერ დარდსაც კი. ასე იქნება ოჯახის, ნათესავების, ახლობლებისა და გარშემომყოფთათვისაც.

თამარ ბლიაძის ცრემლიანმა სიტყვებმა, კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, როგორმა ვაჟკაცმა გადაინაცვლა იმიერ სასუფეველში.

- უზომოდ მენანები... „წყალში მდგარი ხეცა ხმება, როცა მისი ჟამი დგება”... დღეს ლიკამ შემახსენა, ეს სიტყვები გვითხარიო... კი, გითხარით, გითხარით, სანამ ჩვენი ჟამი მოვა, სიკეთე აკეთეთ-მეთქი... დათო... შენ, ეს პირნათლად შეასრულე... სიკეთეს აკეთებდი ყველგან და ყოველთვის, როგორც შეგეძლო, რანაირადაც გამოგდიოდა... მენანები, უზომოდ მენანები... არ არსებობს სანუგეშებელი სიტყვები. გამძლეობას გისურვებთ... დედას, მეუღლეს, შვილებს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს. დამრჩა მოგონებად ის ლამაზი წლები... ლამაზი საღამოები, ბუხართან გატარებული თქვენს თბილ და ტკბილ ოჯახთან ერთად.

მწუხარებით,
**იზა იანვარაშვილი**

ბაკურიანის საჯარო სკოლის 2024 წლის კურსდამთავრებულები, მათი მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ნანა მანჯავიძე იუწყებიან ნიკა კილაძის მამის

**დათო კილაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს

მეგობრები ლუიზა ხრიკაძე, დოდო შალუტაშვილი, ნათელა იჩქიტიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მშვიდი, კულტურული, გაწონასწორებული, ერთგული, უღალატო ქალბატონი

**დალი ლომსაძე**

და უსამძიმრებენ თემური ლომსაძის ოჯახს საყვარელი მამიდის გარდაცვალების გამო.

### ნათლია და ნათლული

## ზურა ზვიადაური და ლაშა ბექაური



ბორჯომის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ბორჯომში ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის თედო კაკულიას სახელობის თასის ტურნირი, სადაც 8 ასაკობრივმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა ბორჯომის „თორი“, მეორე ადგილი თბილისის „ვილას“ ხვდა წილად, ხოლო მესამე ადგილი „არისტოკრატებმა“ დაიმსახურეს.

მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს და იმ ადამიანებს, ვინც ზრუნავს ჩვენი ფეხბურთელების განვითარებაზე.

## ბარბარე – ბათუმის ფესტივალის ჩემპიონი



ფოთის შემდეგ **ბარბარე შონიამ** წარმატებით დალაშქრა ბათუმის საჭადრაკო ფესტივალიც. აქ 12 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები შეიკრიბნენ. 20-მდე გოგონა და ვაჟი 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე ერთმანეთს ერკინებოდა. წილისყრამ ბარბარე მხოლოდ ვაჟებს შეახვედრა. მათთან პაექრობაში 7 ტურში 4,5 ქულა მოაგროვა და გოგონებში მეორე ადგილზე გასულს ერთი ქულით გაუსწრო.

ბარბარე უკვე მესამედ გახდა ბათუმის საჭადრაკო ფესტივალის ჩემპიონი. მას გადაეცა თასი, ოქროს მედალი და სიგელი.

**უშანგი ჯანგირაშვილი.**
მწვრთნელი.

## ტრენინგ ცენტრი აქტიურობს



ბორჯომის ტრენინგ ცენტრში ჩვენმა მოსწავლეებმა, კიდევ ერთი საინტერესო კურსი გაიარეს ახალგაზრდული პოლიტიკის და აქტიური მოქალაქეობის მიმართულებით.

**რატი ჭეიშვილი**, ტრენერი აღნიშნავს: - ბორჯომის ტრენინგ ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მთელი საქართველოს მასშტაბით, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას უსაფრთხო და კომფორტული სივრცე ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარებისათვის. არაფორმალურ განათლებაზე დაფუძნებული პროგრამები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, რომ განუვითარდეთ კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია აქტიური მოქალაქეებისთვის და მათი მონაწილეობისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ცოდნის და უნარების შემდეგ, ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი თავის რეალიზება და საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა. ამ კურსის მიზანი, სწორედ ამ კომპეტენციების განვითარება იყო.

## გიწვევთ კონცერტზე კოსტავას ბაღში!



**16 აგვისტოს, 21:00 საათზე, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში – ნოდარიკო ხუციშვილის და ბენდის კონცერტი გაიმართება.**

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

ბორჯომის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ყველა დაინტერესებულ პირს აცნობებს, რომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახის წევრებისადმი კუთვნილი სარიტუალო დახმარებისათვის, არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში, უნდა წარმოადგინონ საჭირო საბუთები ბორჯომის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში. მისამართზე: ფალიაშვილის ქ. №2. (სამხედრო კომისარიატის შენობაში). წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარებას ვერ მიიღებენ.



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ანსამბლ „ბორჯომის” უფროსი თაობის წევრის

**გურამ კახელის**

გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებს და სრულიად ბორჯომის საზოგადოებას.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: კორექტორი: ნანა კევლიშვილი